ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №50

2015 წლის 2 დეკემბერი

ქ. თელავი

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 სექტემბრის №29 დადგენილებაში „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის №29 დადგენილებაში „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ (matsne.gov.ge, 09/09/2014, 01025002035.176.016029).

მუხლი 2

დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. **„აღმოსავლეთ თელავის“ ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც მოიცავს:**

ვახუშტის ქუჩა, რუსთაველის გამზირი – კენტი რიცხვები №57-დან №95-ის ჩათვლით, ლუწი რიცხვები №74-დან №118-ის ჩათვლით შესახვევებით; დემეტრე თავდადებულის (ყოფ. სტალინის) ქუჩა ჩიხებით; გოძიაშვილის ქუჩა; ციციშვილის ქუჩა (ყოფილი რუსთაველის II ჩიხი); ციციშვილის II შეს.; გ. ლეონიძის ქუჩა №2-დან №30-ის ჩათვლით; რობაქიძის ქუჩა ჩიხებით; ამირეჯიბის ქუჩა №25-დან №43-ის ჩათვლით; №26-დან №50-ის ჩათვლით; მელითაურის ქუჩა – ლუწი რიცხვები, სამაჩაბლოს (ყოფ. მაიაკოვსკის) ქუჩა; ი. ევდოშვილის ქუჩა; ალ. ყაზბეგის ქუჩა; თამარის ქუჩა №8-დან ბოლომდე (ლუწი რიცხვები), №1-დან №67-ის ჩათვლით (კენტი რიცხვები); კონსტიტუციის ქუჩა ჩიხებით; ინგოროყვას (ყოფ. გლეხის) ქუჩა; გონაშვილის ქუჩა; გუდიაშვილის ქუჩა; ლ. ქიაჩელის ქუჩა; ჩოდრიშვილის ქუჩა ჩიხით; გორგასალის ქუჩა; დავითაშვილის ქუჩა; ნ. მუსხელიშვილის ქუჩა; ოსტროვსკის ქუჩა; ყვარლის ქუჩა; ნ. ბენიძის (ყოფ. ლაგოდეხის) ქუჩა; ფიროსმანის ქუჩა; ტაბიძის ქუჩა; სამხედრო ქალაქი შესახვევებით და ჩიხებით; მაგომედოვის ქუჩა ჩიხებით და შესახვევებით; ლ. უკრაინკას ქუჩა; მახათელაშვილის ქუჩა; მშვიდობის ქუჩა შესახვევებით და ჩიხებით; გამსახურდიას ქუჩა; ჯორჯაძის ქუჩა; მაჩაბლის ქუჩა; სადგურის ქუჩა შესახვევებით; ახმეტელის ქუჩა; ს. ზაქარიაძის ქუჩა; ბესიკის ქუჩა; თბილისის გზატკეცილი.“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძე**